03/09/2025

MES 1 25 0001062910

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 21 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე -სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თინათინ მეფარიშვლი;
ნანა ხითარიშვილი;
მარინე გვრიტიშვილი;
ეკატერინე ბალარჯიშვილი;
ხათუნა ფარეიშვილი;
დემიდ ფასიეშვილი;
თამარ უთნელიშვილი;
მამუკა გოგელია;
მამუკა ხოშტარია;
თემურ საღინაძე;
ხათუნა ბაკურაძე;
მაგული მებონია.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "თეთნულდი"
დირექტორის მ/შ - ირმა ჯაფარიძე;
დირექტორის მოადგილე - ნანული ხვისტანი;
ხარისხის მართვის მენეჯერი - თეონა ჯაფარიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯის "თეთნულდი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: სსიპ - კოლეჯის "თეთნულდი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის წარდგენამდე, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა შეკითხვით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროცედურულად მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დასკვნა კორექტირებული იქნა, და მოითხოვა განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული ცვლილება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა განმარტა, რომ დასკვნის კორექტირება განხორციელდა ცენტრის წერილის საფუძველზე. აღნიშნულ წერილში მითითებული იყო, რომ დაწესებულების მიერ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოდგენილი, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არასწორად იყო მიმაგრებული. შემდგომში წარმოდგენილი იქნა სწორი ფაილი, რომელიც მანამდე უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ფაქტი გაითვალისწინა და, შესაბამისად, დასკვნა კორექტირებული იქნა.

ნანი დალაქიშვილმა დამატებით განაცხადა, რომ ის ადასტურებდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“-ს ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა გადაიდო, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა წერილი და მიმართა ცენტრის დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელს. წერილში აღნიშნული იყო, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფაილი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციას ჰქონდა მიმაგრებული, არასწორი და ტექნიკურად გაუმართავი იყო. წერილში ასევე მითითებული იყო მიზეზი, თუ რის გამო მოხდა აღნიშნული ტექნიკური გაუმართაობა.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, წერილი განიხილა ცენტრის ხელმძღვანელობამ, რაც შეთანხმდა სამინისტროსთანაც, ცენტრის ხელმძღვანელობის წერილით ექსპერტთა ჯგუფს მიეცა ნებართვა ხელახლა განეხილათ შესაბამისობის გეგმა, ვინაიდან პროცედურულად და დებულების მიხედვით, არგუმენტირებული პოზიციის შემოსვლის შემდეგ მათ, დამატებითი ნებართვის გარეშე არ ჰქონდათ უფლება განეხილათ განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და არგუმენტირებული პოზიცია. ნანი დალაქიშვილის თქმით, სწორედ ცენტრის ნებართვის საფუძველზე განიხილეს აღნიშნული დოკუმენტები და წარმოადგინეს განახლებული დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, ხელმოწერისა და საბჭოზე წარდგენის შემდეგ აღარ ექვემდებარებოდა ცვლილებას. თავმჯდომარის განმარტებით, საბჭოს სხდომა გადაიდო არა იმის გამო, რომ დამატებითი დოკუმენტები იყო საჭირო, არამედ ტექნიკური მიზეზით — კოლეჯი ვერ ჩაერთო ონლაინ სხდომაში ელექტროენერგიის არქონის გამო.

თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ ის გაეცნო როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილებს, ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, მათ შორის წინა და განახლებულ ვერსიებს. მისი თქმით, გეგმაში არსებულ უზუსტობათა აღმოჩენა მოხდა გარკვეული პერიოდის შემდეგ, უკვე საბჭოს სხდომის გადადების შემდეგ — 17 და 19 აგვისტოს, როდესაც ცენტრსა და სამინისტროს შორის განხორციელდა შეთანხმება და ექსპერტებისთვის დასკვნის ხელახალი გადახედვის ნებართვა გაიცა. თავმჯდომარემ განმარტება მოითხოვა, თუ რომელი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე მოხდა აღნიშნული ნებართვის გაცემა და რომელ სუბიექტს ან სტრუქტურულ ერთეულს ჰქონდა დებულებით მინიჭებული მსგავსი ჩარევის განხორციელების უფლება.

ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დებულება პირდაპირ არ ითვალისწინებდა დასკვნის დამატებითი განხილვის შესაძლებლობას, ამიტომ დაწესებულების თხოვნა გადაეგზავნა როგორც ცენტრის, ასევე სამინისტროს ხელმძღვანელობასა და შესაბამის კურატორ მოადგილეებს. დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პირველი წერილი 12 აგვისტოს გამოგზავნა, როდესაც დასკვნას გაეცნო და მაშინვე აღმოაჩინა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის არასწორი ფაილი ჰქონდა ატვირთული. თუმცა იმ ეტაპზე საკითხის დროულად შეთანხმება ცენტრის ხელმძღვანელობასთან ვერ მოხერხდა და, შესაბამისად, გადახედვაც არ განხორციელდა.

ნანი დალაქიშვილის თქმით, საკითხის გადადების შემდეგ დაწესებულებამ დამატებით მიმართა შესაბამის ორგანოებს. რამდენადაც კოლეჯი საჯარო იყო და რეგიონში ერთადერთი, მისი თხოვნა განხილული იქნა დამფუძნებელი სამინისტროს შიდა სტრუქტურების დონეზეც და მათი ჩართულობით. სწორედ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე მიეცა ექსპერტებს უფლება ხელახლა განეხილათ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 12 აგვისტოს თარიღის წერილი საბჭოსთვის წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არ ყოფილა და მას არ უნახავს. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ არ უნდა დამკვიდრდეს ისეთი პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუშლის და საფრთხეს შეუქმნის ავტორიზაციის პროცესის სამართლებრივ სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და საბჭოს

დამოუკიდებლობას. მისივე თქმით, წარმოდგენილ განმარტებებში არ დასახელდა სუბიექტი, დებულება, კანონი ან ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც ექსპერტთა დასკვნის ხელახალი გადახედვის ნებართვა გაიცა.

სამინისტროს წარმომადგენლის, თამარ კვინიკაძის განმარტებით, ხარვეზი უკავშირდებოდა ტექნიკურ საკითხს და არ წარმოადგენდა შინაარსობრივ უზუსტობას. შესაბამისად, საკითხი განიხილეს სამინისტროში შესაბამის კურატორ მოადგილეებთან და ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად. თამარ კვინიკაძემ განაცხადა, რომ ფაქტობრივად ეს იყო ცენტრის შუამდგომლობა და თხოვნა, რათა საბჭოს მხედველობაში მიეღო აღნიშნული გარემოება, ვინაიდან საქმე ეხებოდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ უნდა მიღებულიყო ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული იყო საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2-5 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები. შედგა პირველადი დასკვნა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, შემდგომში გადაიხედა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი სახის **შესაბამისობის რეკომენდაციები:**

ინდიკატორი 1.2.1.1 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 1.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები.დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2 .დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 1.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი

პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 1.2.1.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2025 წლის 1 ოქტომბრამდე. დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმაში ადამიანური და ფინანსური რესურსების ასახვის გაითვალისწინებს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 1.2.2.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 1.2.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. ა) დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს.
ბ) დაწესებულება გადახედავს კოლეჯის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.1.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული

შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. ა) დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ბ) დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენას რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე კვალიფიციური პირების მობილიზებას. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. ა) დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ბ) დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის გადახედვას; შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარებას და კვლევის შედეგების ანალიზს. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.2.1.4 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. ა) დაწესებულება პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ბ) დაწესებულება გადახედავს კოლეჯის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. გ) დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციის პროცესის მექანიზმების სრულყოფას. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით

დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 5.1.1.5 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 5.1.1.5 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 1 ნოემბრამდე. ა) დაწესებულებს უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე კვალიფიციური პირის მობილიზებას ბ) დაწესებულება უზრუნველყოფს შენობის უსაფრთხოების (მდგრადობის) დასკვნის მოპოვებას. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 5.1.2.3 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ინდიკატორი უკვე შესრულებულია, წარმოდგენილი აქვს წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.
ინდიკატორი 2.4.2.1. დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.4.2.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2025 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება უზრუნველყოფს ვალიდაციის მექანიზმების გადახედვას, სრულყოფას და პროცედურის შესაბამისად აღსრულებას. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.4.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2025 წლის 1 ოქტომბრამდე. დაწესებულება უზრუნველყოფს ვერიფიკაციის მექანიზმის გადახედვას და სრულყოფას. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 1.1.1.4 დაწესებულების მისია ხედვა ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში, გამოკრულია დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ისეთ დოკუმენტებში როგორიცაა კატალოგი და სტრატეგიული გეგმა. „ მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და ანგარიშის წესში“ არ არის გაწერილი თუ რა მექანიზმს იყენებს დაწესებულება მისის, ხედვის და ღირებულებების დაინტერესებულ პირებთან გაზიარებისათვის. რადგანაც მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ პირებთან. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მისია, ხედვა, ღირებულებების დაინტერესებულ პირებთან გაზიარების მექანიზმების და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე.

ინდიკატორი 1.2.1.1.დაწესებულებამ არ/ვერ წარმოადგინა 2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი მტკიცებულებები. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამოქმედო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ვალიდური მტკიცებულებების შეგროვება/შენახვა. დაწესებულებას სამოქმედო ჯგუფის შექმნის ბრძანებაში და არც მარეგულირებელ დოკუმენტში არ აქვს განსაზღვრული თუ რა ვადა ეძლევა ჯგუფს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს მარეგულირებელ დოკუმენტში ან/და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფის ბრძანებაში სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის მიცემული დავალების შესრულებისთვის ვადის და ფუნქციების განსაზღვრა. დაწესებულებას 2025 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებული აქვს 2025 წლის 19 თებერვალს, ხოლო გეგმაში შესასრულებელი აქტივობები მოიცავს იანვრიდან -დეკემბრის ჩათვლით პერიოდს . დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის შემუშავებისას შესასრულებელი ამოცანები და აქტივობები გაიწეროს სამოქმედო გეგმის დამტკიცების პერიოდიდან.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დასტურების წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია, რომ „პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წესში არ არის დაკონკრეტებული მასწავლებლის მიერ მტკიცებულებების პორტფოლიოში ასახვის ვადა. დაწესებულებამ არ/ვერ წარმოადგინა სხვა წესი/ბრძანება სადაც აღნიშნული ვადა იქნებოდა დაკონკრეტებული.
შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განსაზღვროს თუ რა ვადაში უნდა მოხდეს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებების განთავსება სტუდენტის პორტფოლიოში.

ინდიკატორი 5.1.1.1 დაწესებულება არ თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან. როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, განახლებულ საკანონმდებლო აქტებზე წვდომას უზრუნველყოფს დაწესებულების იურისტი, რომელსაც აქვს პირადი იუზერი www.matsne.gov.ge-ზე. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ითანამშრომლოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებულ ვერსიებზე და კანონქვემდებარე აქტებზე მუდმივ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 5.2.3.3. დაწესებულების “საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში” არ არის გაწერილი ვებ გვერდზე და სოციალური ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და მექანიზმი. აღნიშნულ ფუნქციას ფაქტობრივად ასრულებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ შიდა რეგულაციაში ასახოს ვებ გვერდზე და სოციალური ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი და მექანიზმი.

ინდიკატორი 5.3.1.1 დაწესებულებას დაგეგმილის შემოსავლები და ხარჯები საპროგნოზო ბიუჯეტის სახით გაწერილი არ აქვს, აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილი იქნა 2 სხვადასხვა დოკუმენტის სახით. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების წარმოების პროცედურა. ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ

დაწესებულება აკეთებს ანგარიშებს ფაქტობრივი ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ. ფაქტობრივი ბიუჯეტის სახით გაწერილ დოკუმენტს დაწესებულება არ ამზადებს. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ შიდა რეგულაციით შეიმუშაოს ბიუჯეტების მომზადების პროცედურები და ერთ დოკუმენტად მოამზადოს დაწესებულების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაწესებულებას ყველა პროგრამაზე შედგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტები. ზოგიერთ პროგრამაზე საპროგნოზო ბიუჯეტში რენტაბელობის ზღვარი ტექნიკურად შეცდომით იყო გადატანილი. ფაქტობრივი ბიუჯეტი ყველა პროგრამაზე არ იყო შემუშავებული. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია საპროგნოზო ბიუჯეტებში შეასწოროს ტექნიკური შეცდომები, პროგრამის ყოველი ციკლის დასრულების შემდგომ შეადგინოს პროგრამების ფაქტობრივი ბიუჯეტი და შიდა რეგულაციით გაწეროს პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შედგენის მექანიზმი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მოითხოვა დამატებითი განმარტება ექსპერტებისგან შესაბამისობის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ბიბლიოთეკას ეხებოდა. მან სთხოვა დაეზუსტებინათ, თუ რატომ გაიცა რეკომენდაცია მაშინ, როდესაც ექსპერტები სხვა მხრივ ადასტურებდნენ, რომ საბიბლიოთეკო სერვისები მოწესრიგებული იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შესაბამისობის რეკომენდაცია გაიცა ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან კოლეჯის შიდა რეგულაციით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

ნათია ბუთხუზმა ვალიდაცია-ვერიფიკაციის საკითხზე დასვა კითხვა. მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ განხილულიყო საკითხი ხელახლა და შემდგომში ხარვეზები აღმოფხვრილიყო. ნათია ბუთხუზმა იკითხა, ადგილზე ვიზიტისას მოითხოვეს თუ არა ექსპერტებმა შეფასების ინსტრუმენტები, რა დაასკვნეს დარგის ექსპერტებმა და როგორი იყო საერთო სურათი ამ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარინე გვრიტიშვილმა განმარტა, რომ შეფასების ინსტრუმენტები პროგრამების ჭრილში ვალიდური იყო და ეს დარგის ექსპერტებმაც დაადასტურეს. მისი თქმით, პრობლემა არსებობდა პროცესთან დაკავშირებით, ვინაიდან ექსპერტებს არ ჰქონდათ საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ ვალიდაციის პროცესი რეალურად მიმდინარეობდა კოლეჯში. მისი თქმით, კოლეჯის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ამას ადასტურებდა. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ინსტრუმენტები შინაარსობრივად ვალიდური იყო და დოკუმენტს ჰქონდა წარწერა „ვალიდირებულია“, არ იყო მითითებული, თუ ვინ მოახდინა ვალიდაცია. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელის მიმოწერა სასწავლო პროცესთან ან დარგის წარმომადგენელთან. კოლეჯის მხრიდან მხოლოდ სიტყვიერი დადასტურება არსებობდა იმის შესახებ, რომ ვალიდაციის პროცესი ხორციელდებოდა. გარდა ამისა, მარინე გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ რეგულაციებში არეულად იყო გამოყენებული ტერმინები „ვალიდაცია“ და „ვერიფიკაცია“. დოკუმენტში ცალსახად არ ჩანდა, საუბარი ვერიფიკაციას ეხებოდა თუ ვალიდაციას.

ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ 2.4.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებულია, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული ვერიფიკაციის პროცესისთვის რისკების სისტემა. გარდა ამისა, აღნიშნული იყო, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი ერთვებოდა პროცესში და არ იყო დაცული, ასე ვთქვათ, რისკები, ხდებოდა გადაფარვა. მან დამატებით სთხოვა განმარტება ექსპერტებს, ვინაიდან არსებული აღწერა ბუნდოვანებას ტოვებდა.

მარინე გვრიტიშვილმა განმარტა, რომ პროცესი მართლაც ასეთად წარმოჩინდა. მისი თქმით, დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტში გააჩნდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ რისკები ფასდებოდა და შემდგომში ხდებოდა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია. თუმცა, კონკრეტულად რა ტიპის რისკებზე იყო საუბარი, დოკუმენტში გაწერილი არ იყო. მისი განცხადებით, ხარისხის მენეჯერმა ზეპირად დაადასტურა, რომ რისკის მატარებელ ფაქტორებად მიიჩნევდა, მაგალითად, ახალ პროგრამას, ახალ მასწავლებელს და სხვა მსგავს გარემოებებს. შესაბამისად, ხარისხის მენეჯერი წყვეტდა, რომელი პროგრამა ან პროცესი იყო რისკის მატარებელი და ახორციელებდა ვერიფიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერს შესაძლოა სწორად შეეფასებინა რისკები, დაინტერესებული მხარეებისთვის და მეტი სიცხადისთვის ეს კრიტერიუმები რეგულაციაში უნდა ყოფილიყო გაწერილი. გარდა ამისა, მარინე გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა გარკვეული დასკვნები და სამოქმედო გეგმები, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებს არ ჰქონდათ თარიღი და ხელმოწერა, ისინი არ ფიქსირდებოდა არც ელექტრონულ ფოსტაზე და არც eFlow სისტემაში. წარმოდგენილი იყო მხოლოდ დოკუმენტები სათაურით „სამოქმედო გეგმა“ ან „დასკვნა“, რის გამოც ექსპერტებმა ვერ მიიჩნიეს ისინი ვალიდურ მტკიცებულებად.

ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რამდენად მიაჩნდათ ექსპერტებს, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაში შესაძლებელი იყო ხარვეზის აღმოფხვრა (ინდიკატორი 4.1.1.2). მისი კითხვით გამოკვეთილი იყო, რომ ადამიანის რესურსი ამ ეტაპზე არ იყო საკმარისი ფუნქციების შესასრულებლად, ხოლო ფუნქციების შესრულების დონეები გადაფარული იყო. ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, თუ იყო შესაძლებელია, რომ ასეთ პირობებში ხარვეზი 3 თვეში გამოსწორებულიყო, როდესაც სტრუქტურაშიც არსებობს ხარვეზები, რომლებიც ჯერ მოსაგვარებელია.

მარინე გვრიტიშვილმა განმარტა, რომ 3 თვიანი პერიოდი აღებულია უშუალოდ ვერიფიკაციის და ვალიდაციის პრობლემების მოსაგვარებლად. მისი თქმით, თეორიულად ეს შესაძლებელია. დამატებით აღნიშნა, რომ ვერიფიკაცია ამ ეტაპზე არ იგეგმება. ხოლო ვალიდაციის პროცედურაში ჩართულია სასწავლო პროცესი, მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელები. ამ თვალსაზრისით, კადრების პრობლემა არ არსებობდა კოლეჯში, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები იყვნენ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე პროგრამების განხორციელებაში. მარინე გვრიტიშვილის შეფასებით, ხარვეზების აღმოფხვრა დამოკიდებულია დაწესებულების მონდომებაზე და არ არის შეუძლებელი ვალიდაციის პროცესის სრულყოფა. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო რეგულაციის მკაფიო გაწერა, რომლის საფუძველზეც შემდგომ განხორციელდება ვალიდაცია და ვერიფიკაცია.

ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ თუ ვადაში დოკუმენტები გაიმართა, სწორად განისაზღვრა პროცესები, ფუნქციები, მაგრამ შეფასებისას ჯგუფმა საბოლოოდ დადო უარყოფითი დასკვნა ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესზე, როგორ ფიქრობთ არსებობს ეს რისკები და მაშინ რა პასუხი გაქვთ. იგი დაინტერესდა ეს ხომ არ იქნებოდა კიდევ უფრო დიდი რისკი. ეს ეხება არა მხოლოდ ვალიდაცია-ვერიფიკაციას, არამედ სხვა კომპონენტებსაც, იქ სადაც გაცემულია მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობა.

მარინე გვრიტიშვილი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ არსებობს ეს რისკი, თუმცა ამ ეტაპზე წინასწარ ამის განჭვრეტას ვერ მოახდენენ ექსპერტები. ეს რისკები შესაძლოა სრულიად უხარვეზო კოლეჯშიც დადგეს ნებისმიერი პროცესის განხორციელების ეტაპზე. შესაბამისობის გეგმის შეფასებით კი ეს ალბათობა არ გამოკვეთილა, რომ მითითებულ დროში და რესურსით აქტივობები ვერ განხორციელდეს.

თინათინ მეფარიშვილმა დამატებით განაცხადა, რომ კოლეჯის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია გამოხატავს სრულ მზადყოფნას ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი ფუნქციონირებს 2011 წლიდან, შესაბამისად ეს არ არის პირველადი ავტორიზაცია კოლეჯისთვის და დღემდე ვერ შეძლო ხარვეზების გამოსწორება. იგი დაინტერესდა რა არის გარანტია იმისა, რომ სწორედ ახლა, 15 თვეში შეძლებს დაწესებულება იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც წლების განმავლობაში არ გამოსწორებულა. მან სთხოვა ექსპერტებს დაესახელებინათ, რომელ კონკრეტულ მექანიზმებს და რესურსებს ხედავენ ისინი, რაც რეალურად უზრუნველყოფს ამ ვალდებულებების შესრულებას.

თინათინ მეფარიშვილმა უპასუხა დასმულ კითხვას და აღნიშნა, რომ ამდენწლიანი გამოცდილების ფონზე ნამდვილად ცოტა სხვა სურათი უნდა ყოფილიყო, თუმცა ძალიან დიდი მონდომება უნდა გამოიჩინოს კოლეჯმა და სურვილი და მზაობა ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად. ექსპერტთა მიზანი რაც იყო, ამ შეუსაბამობების დაიდენტიფიცირება, ეს გამოავლინეს. ახლა ამ ყველაფრის აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი თავად კოლეჯია. ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში ამის პოტენციალი დაინახეს.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არ არის, მისი შეფასებით, კარგად გათვლილი და გაანგარიშებული პერიოდზე. მაგალითად დაწესებულებას სქესობრივი ხელშეუხებლობის შესახებ ცნობების ასაღებად გაწერილი აქვს 15 თვე, მაშინ, როცა ამის გაკეთება შესაძლებელია 5 დღეში. ხოლო ვალიდაცია-ვერიფიკაციის ნაწილში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მითითებულია მხოლოდ 3 თვე.

თამარ კვინიკაძემ განმარტა, რომ მართალია დაწესებულება 2011 წლიდან ოპერირებს მესტიაში, თუმცა ახალი სტანდარტების შესაბამისად მას პირველად უწევს ავტორიზაციის პროცესი. აქედან გამომდინარე ეს მათთვისაც რაღაცნაირად მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. მისი მოსაზრებით, კარგად გაართმევს კოლეჯი თავს, იქიდან გამომდინარე, რომ ხელმძღვანელობაც, ადმინისტრაციაც და მთელი პერსონალი საკმაოდ გამოცდილები არიან თავიანთ საქმეში. გარდა ამისა, მან დაადასტურა, რომ ეს არის სახელმწიფო კოლეჯი, მნიშვნელოვანი თავისი არსით, რადგან რეგიონში არის ერთადერთი, არის მაღალმთიან რეგიონში და იქ ძალიან მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რომ პროფესიული განათლება იყოს მიწოდებული მაღალი ხარისხით. ასევე, აღნიშნა, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია. პროგრამების ნაწილში მათ პრობლემა არ აქვთ როგორც მატერიალური, ასევე სასწავლო რესურსებთან მიმართებით. დახმარება სჭირდებათ ადამიანური რესურსების გაძლიერების თვალსაზრისით და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სამინისტროს დეპარტამენტი თავის ნაწილში აბსოლუტურად ჩართული იქნება, კოლეჯთან ერთად იმუშავებს, რომ აღნიშნული ხარვეზები დროულად აღმოიფხვრას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც წარმოადგინეს, შეასრულონ. სამინისტრო მზადაა დაეხმაროს კოლეჯს მაქსიმალურად, რომ ეს პროცესები სწორად და კარგად წარიმართოს და შედეგიანად დასრულდეს.

ელენე კაკაბაძე დაეთანხმა თამარ კვინიკაძეს, რომ ეს სტანდარტები, ნამდვილად ახალია კოლეჯისთვის. თუმცა აღნიშნა, რომ ის კოლეჯს იცნობს თავიდანვე და ძველი სტანდარტების დროსაც მათ ჰქონდათ იგივე პრობლემა, იგივე ხარვეზები. იმაშიც დაეთანხმა, რომ ეს არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არის მაღალმთიან რეგიონში, თუმცა ვერ დაეთანხმა იმაში, რომ ასე უპასუხისმგებლოდ იქცეოდეს კოლეჯის ადმინისტრაცია, რომელიც სარგებლობს სახელმწიფოს ამხელა დახმარებით, იგივე მატერიალური რესურსების, იგივე

პერსონალის გადამზადების და ასე შემდეგ. ელენე კაკაბაძის მოსაზრებით, ეს არის ამ ყველაფრის ბოროტად გამოყენება.

თამარ კვინიკაძემ განაცხადა, რომ მისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია საბჭოს სხდომებზე დასწრება, რადგან დროულად განხორციელდეს რეაგირება სამინისტროს მხრიდან. თუ რამეში დახმარება სჭირდებათ ან ჩარევაა საჭირო, ამისთვის არის ზუსტად სამინისტრო, მათი დამფუძნებელი, რომ შესაბამისი რეაგირება დროულად მოხდეს და ამისთვის სრული მზადყოფნა დაადასტურა.

ელენე კაკაბაძემ კითხვით მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს. მისი განმარტებით, კოლეჯმა საკუთარი თავი შეაფასა ყველა სტანდარტთან მიმართებით, როგორც „შეესაბამება“, თუმცა ექსპერტების შეფასებით აღნიშნული სტანდარტები არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ სხვაობა აშკარა იყო და არ წარმოადგენდა მხოლოდ მსუბუქ განსხვავებას. ელენე კაკაბაძემ იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გააზრებული, რატომ მიიჩნია, რომ სტანდარტები შესაბამისობაში იყო, მიუხედავად არსებული მრავალი პრობლემისა. იგი დაინტერესდა, რა არ გაითვალისწინეს, რა ვერ გაიაზრეს სწორად და რომელ საკითხებში ვერ მოახდინეს სრულყოფილი შეფასება.

კოლეჯის დირექტორმა, ირმა ჯაფარიძემ, აღნიშნა, რომ ის იმყოფებოდა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში. მისთვის ძალიან ემოციური იყო, ადმინისტრაციისთვის სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების ბრალდება. აღნიშნა, რომ ეს არის მაღალმთიანი რეგიონი და ძალიან დიდი დეფიციტია, მარტო მაღალმთიან კი არა ზოგადად ქვეყანაში, სპეციალისტების და ამდენად კოლეჯი დგება ხოლმე ასეთი გამოწვევების წინაშე. მისი თქმით, მას გაცნობიერებული აქვს ის ყველაფერი, რაც ამ პროცესმა დაგვანახა. იმ რეალობიდან გამომდინარე, რა რესურსიც აქვს კოლეჯს, მათ ჩათვალეს რომ ეს იყო შესაბამისი. რა თქმა უნდა, კოლეჯი ეთანხმება იმ მოცემულობას, რაც აქვთ, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ეს იყო შესაბამისი.

ელენე კაკაბაძემ განმარტა, რომ მისი კომენტარი სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების თაობაზე არ მიემართებოდა დირექტორს. მან ზოგადად შეაფასა სიტუაცია, რომ იფლანგება სახელმწიფოს ბიუჯეტი. მან დამატებით აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული განმავითარებელი რეკომენდაციების უმრავლესობა არ არის რეალურად განმავითარებელი შინაარსის. ისინი უფრო შესაბამისობის რეკომენდაციებს შეესაბამება.

ნათია ბუთხუზი დაინტერესდა თუ რას მიიჩნევს დაწესებულება ყველაზე დიდი გამოწვევად მთელი ამ მოცემულობის გათვალისწინებით. როგორ გეგმავენ, საიდან უნდა დაიწყონ პროცესი დღესვე და რა შეიძლება იყოს ამ პროცესში ხელის შემშლელი.

ირმა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება მიჰყვება გაცემულ რეკომენდაციებს ნაბიჯ-ნაბიჯ და კონკრეტულ ცვლილებებს მოახდენს შესაბამისად.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ის დიდი ხანია იცნობს კოლეჯს. 2011 წლიდან კი ოპერირებს ის როგორც ავტორიზებული კოლეჯი, მაგრამ 2006 წელს ჩამოყალიბდა მესტიაში პირველი პროფესიული განათლების ცენტრი. იმ დროიდან ყველანაირი მხარდაჭერა ჰქონდა ამ დაწესებულებას როგორც სამინისტროს ასევე ცენტრის მხრიდან იმისთვის, რომ რეგიონში გაძლიერებულიყო და წინ წასულიყო მისი ფუნქციონირება. მისი დაკვირვებით ძალიან წინ წავიდა კოლეჯი, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე, მატერიალური რესურსების, მიდგომების და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. არც ისე სწრაფი ნაბიჯებით, მაგრამ ნამდვილად თვალსაჩინო იყო მისი წინსვლა. თუმცა ყოველ ეტაპზე იყო პრობლემა რეგიონში და მაღალმთიან რეგიონებში ასეთი პრობლემა სხვა დაწესებულებების ფარგლებშიც არსებობს.

მისი მოსაზრებით, მხოლოდ კოლეჯის მხრიდან ვერ მოგვარდება დაფიქსირებული ხარვეზები და ამაში მას უნდა დაეხმაროს როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და მიაწოდოს კოლეჯს ახალგაზრდა კადრები, ასევე სამინისტრო, რომელმაც, ალბათ, უნდა დაუმატოს კადრები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. მეტი დახმარება სჭირდება კოლეჯს კადრების დამატების მხრივაც და არსებული კადრების გადამზადების მხრივაც. მას შემდეგ რაც ახალი სტანდარტები დაინერგა სისტემაში და ამ ახალმა სტანდარტებმა მოგვცა საშუალება, რომ განვითარებაზე იყოს მეტად ორიენტირებული ვიზიტები და არა შეესაბამება ან არ შეესაბამება შეფასებაზე, რაც უფრო ხისტ დამოკიდებულებას განაპირობებდა. ამ ახალი სტანდარტების დანერგვამდე ძალიან ბევრმა კოლეჯმა ავტორიზაციაც დაკარგა, რადგანაც არ იყო ასეთი დიფერენცირებული შეფასების შესაძლებლობა. ამიტომ მისი მოსაზრებით ექსპერტების დასკვნა გზამკვლევად და სახელმძღვანელოდ უნდა გადაიქცეს კოლეჯისთვის.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ქალბატონი ნანის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დასკვნა ამ შეფასებას ვერ ასახავს. დასკვნით არ დასტურდება, რომ წინ წაიწია კოლეჯმა და განვითარდა. მაღალმთიან რეგიონებში მოქმედ სხვა კოლეჯებს, რაც შეეხება, მათაც ჰქონდათ, რა თქმა უნდა, რაღაც შეუსაბამობები, თუმცა ასეთი სისტემური ხარვეზები, რაც აღნიშნულ კოლეჯთან მიმართებით დაფიქსირდა, არცერთს არ ჰქონია.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯის "თეთნულდი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 1

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, მიუხედავად მისი პატივისცემისა სამინისტროს და ცენტრის და ყველა მათი თანამშრომლის მიმართ, იგი წინააღმდეგია ავტორიზაციის მინიჭებაზე. მისი პოზიცია დაასაბუთა იმგვარად, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გამოყენება ვერ იქნება შედეგიანი, რადგან ხარვეზები სისტემურია, ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი პროფესიულ განათლების მიწოდებას და ხელს უშლის სტუდენტების ინტერესების დაცვას. ვინაიდან კოლეჯი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ავტორიზაციის გაგრძელება ასეთ პირობებში ზრდის ფინანსური რესურსების არაეფექტიანი გამოყენების რისკს, შესაბამისად მისი პოზიცია არის, რომ ავტორიზაციის გაგრძელება ამ ეტაპზე არ არის გამართლებული.

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯს

"თეთნულდი" (ს/კ: 235891512) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ - კოლეჯს "თეთნულდი" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - კოლეჯში "თეთნულდი" პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებში (1.2., 4.1., 4.2., 5.1. კომპონენტებში), მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. ხოლო, რაც შეეხება მეორე სტანდარტს, რადგანაც ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დახარვეზებული იყო 2.4 კომპონენტი, შესაძლებელია მონიტორინგი ჩაინიშნოს ისეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ყველაზე მეტი აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი ჰყავს დაწესებულებას და რომლის ფარგლებშიც გადამოწმდება 2.4 კომპონენტი. მონიტორინგი ჩაინიშნოს ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2.4 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 6 ოქტომბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულდა 14:04 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	42
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	12
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	105

პროგრამის სახელწოდება	სასტუმროს მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	42
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	12
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	8
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. 25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	22
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110